19/11/2026

MES 5 26 0001694516

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სკოლა ეისი:
მარინე ტლაშაძე - სკოლის დირექტორი
შპს სკოლა ეტალონი:
საშა ლეკიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლა:
მაია ჩაჩხიანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა:
მაია კიკნაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბნავისის საჯარო სკოლა:
ეკა ჩხიკვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა:
იზა ღიბრაძე - სკოლის დირექტორი
შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელი:
დალი ჯანიაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლა:
კარლო სუბელიანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა:
ნელი ნათენაძე - სკოლის დირექტორი
ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი:
თინათინ ჩხენკელი - სკოლის საქმისმწარმოებელი
ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია:
დავით ტვილდიანი - სკოლის ისტორიის მასწავლებელი
სსიპ – აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა:
ნუნუ მანაგაძე-ანდრიაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლა:
ზვიადი კუბლაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა:
გელა ქავთარაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლა:
თამარი ცქიფურიშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს სკოლა ეისი:
ა) გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა კვარაცხელია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა სამხარაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 06 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა ეტალონის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბნავისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

10. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ – აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-9 საკითხთან მიმართებით ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, სკოლის დასახელება უნდა ყოფილიყო „სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლა“ ნაცვლად სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლისა.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
1. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა ეტალონის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბნავისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

7. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ – აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

1. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს სკოლა ეისში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 01 და 02 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ქართულ ენაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, 2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლას ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ უარყოფითი დასკვნა. აქვე, ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი და მითითებული იყო რომ სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი მიწერილობა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის, რეალურად სკოლას ჰქონდა დასკვნა, თუმცა უარყოფითი.

ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო. ამასთანავე, განმარტა, რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავდა ახალ შენობაში გადასვლას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, როდის გეგმავდა სკოლა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებული ხარვეზის აღმოფხვრას. ექსპერტის, გიორგი მომცელიძის თქმით სკოლა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრას ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ გეგმავდა.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო ექიმის დასაქმების საკითხი და ჰქონდა თუ არა სკოლას ექიმის კაბინეტი. სკოლის დირექტორმა, მარინე ტლაშაძემ, აღნიშნა, რომ ექიმის დასაქმების მიზნით, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია, ხოლო, ექიმის კაბინეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლაში მოწყობილი იყო სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემაც.

აქვე, საბჭოს მდივანი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ექსპერტის, გიორგი მომცელიძის, თქმით სკოლას არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, როგორ გეგმავდა სკოლა სახელმწიფო და უცხო ენების მიმართულებით, შეფასების რუბრიკების სრულყოფას. სკოლის დირექტორმა, მარინე ტლაშაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებაზე, მათ შორის, მე-2 სტანდარტთან მიმართებით კათედრებს დაწყებული ჰქონდათ რჩევების გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ეისის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

სკოლის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, დადებითი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

სტატუსის უწყვეტობის მიზნით ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 06 ნოემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:51
დასრულების დრო - 14:54

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების, მე-20 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ეისს (ს/კ: 417885649) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 06 ნოემბერი.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი გორი, ბესიკის ქუჩა N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი გორი, ბესიკის ქუჩა N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი გორი, ბესიკის ქუჩა N5

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2027 წლის ოქტომბერში კანონმდებლობის შესაბამისი ექიმის დასაქმების, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ეტლით მოსარგებლე პირებისთვის სკოლის სივრცეებში გადაადგილების ხელმისაწვდომობის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში სპეციალური ზედაპირის მქონე

სადემონსტრაციო მაგიდის მოწყობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. შპს სკოლა ეტალონის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 14 ივლისის N923910 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში წარმოედგინა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინების დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ, სკოლის სველი წერტილის ნაწილთან დაკავშირებით.
სკოლამ თავდაპირველად (2026 წლის ოქტომბერში) წარმოადგინა სკოლის ეზოში ბიო საპირფარეშოების მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება და ხელშეკრულება მშენ ექსპერტთან, ხოლო მოგვიანებით (2026 წლის ნოემბერში) წარმოადგინა სკოლის შენობის შესასვლელში გარე საპირფარეშოების მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება.
სკოლას არ წარმოუდგენია უშუალოდ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, საშა ლეკიაშვილმა, განმარტა, რომ სკოლის სველ წერტილებთან დაკავშირებით სკოლას მიღებული ჰქონდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უარყოფითი დასკვნა. აღნიშნულის შემდეგ სკოლა დაუკავშირდა ერთ-ერთ აკრედიტებულ ორგანოს, რომლის განმარტებითაც, სველი წერტილები საჭიროებდა მნიშვნელოვან სარემონტო სამუშაოებს, რის გამოც ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ახალი დასკვნის მომზადების მიზანშეწონილობა არ იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლამ შეიმუშავა სველი წერტილების რეაბილიტაციის პროექტი, რომლის განხორციელებაც დაგეგმილი იყო მომდევნო სასწავლო წლისთვის. დირექტორის განმარტებით, ვინაიდან სკოლაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და აღნიშნულ პერიოდში სარემონტო სამუშაოების ჩატარება შეუძლებელი იყო, დროებით იქირავა ბიოტუალეტები. თუმცა, მათი გამოყენებისას ჰიგიენური პირობების სათანადოდ დაცვის კუთხით წარმოქმნილი სირთულეების გამო, სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, სველი წერტილები სკოლის შენობის გარეთ, შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო. ამასთან, დირექტორის განცხადებით, სკოლა სამომავლოდ შენობაში არსებული სველი წერტილების რეაბილიტაციასაც გეგმავდა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ავტორიზაციის მინიჭებიდან, ინფორმირების წარმოდგენამდე რატომ ვერ მოახერხა სკოლამ მდგრადობის დასკვნაში არსებული რეკომენდაციების გათვალისწინება. სკოლის დირექტორის, საშა ლეკიაშვილის თქმით, სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2026 წლის ივლისში და აღნიშნული პერიოდიდან სკოლამ შეძლო პრობლემის დროებითი გადაწყვეტის გზის მოძიება. მისი თქმით, სარემონტო სამუშაოების განხორციელება მნიშვნელოვან ფინანსურ და დროით რესურსს საჭიროებდა, თუმცა, აღნიშნული სამუშაოების ჩატარებასაც უახლოეს მომავალში გეგმავდა. დამატებით, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად მიესალმებოდნენ მშობლები სკოლის გადაწყვეტილებას, რომ სველი წერტილები მოეწყო გარე ტერიტორიაზე. დირექტორის თქმით, აღნიშნული მოხდა მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის და მშობლებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლის შესასვლელ სივრცეში სველი წერტილის მოწყობა არ იყო მისასალმებელი.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, როდის აპირებდა სკოლა სარემონტო სამუშაოების განხორციელებას. აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა სკოლა ადაპტირებული გარემოს მოწყობას მსგავს პირობებში. სკოლის დირექტორის, საშა ლეკიაშვილის განმარტებით, სველ წერტილებთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით სამუშაოები გაზაფხულიდან დაიწყებოდა. რაც შეეხებოდა ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფას, დირექტორმა აღნიშნა, რომ ალტერნატიულ საპირფარეშოში გათვალისწინებული იყო ადაპტირებული სივრცე, თუმცა სკოლას ამ ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე არ ჰყავდა.
საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე, დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას დაწყებითი საფეხურის პროგრამაზე. სკოლის დირექტორის თქმით, 1-ელ კლასში ჰყავდათ 13 მოსწავლე, მე-2 კლასში - 10, მე-3 კლასში 17 და მე-4 კლასში 18 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 :10
დასრულების დრო: 15:15

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციასა და მოსწავლეთა უსაფრთხოებას და, შესაბამისად, განსაკუთრებულად სენსიტიურ საკითხს წარმოადგენდა. საბჭომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სკოლამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები პრობლემის მოსაგვარებლად და მოიძია ალტერნატიული გზა, თუმცა, არსებული საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია სკოლაში მონიტორინგის განხორციელება.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2027 წლის მაისიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-3 სტანდარტი.

3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 04 ოქტომბრის N1273115 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ექიმის/ექთნის აყვანისა და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ 2026 წლის თებერვალში წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა, ექთნის დასაქმებისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის მტკიცებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მაია ჩაჩხიანმა, აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია, აქვე, დასძინა, რომ სკოლას, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შეთანხმებული ჰქონდა ექთნის შტატი. სკოლის დირექტორმა, დამატებით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს მხრიდან არ იყო განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი, სკოლამ გადადგა გარკვეული ქმედითი ნაბიჯები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 :18
დასრულების დრო: 15:20

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

4.სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 25 აგვისტოს N1018295 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის აგვისტოში წარმოედგინა მასწავლებელთა კვალიფიკაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოყვანის და სკოლის შენობების (სამივე შენობის) სრულად ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ 2026 წლის აგვისტოში წარმოადგინა მოწვეული მასწავლებლის დანიშვნის ბრძანება (ვაკანტური საათები გადანაწილა მოწვეულ მასწავლებელზე) და ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობის მტკიცებულება.
დაწესებულებას არ წარმოუდგენია სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების დასაქმებისა და სამივე შენობის სრულად ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მაია კიკნაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგანში გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსიები, თუმცა რეგიონში კადრების სიმწირიდან გამომდინარე, ვერ შეირჩა შესაბამისი პირი. მისი თქმით, სპორტის გამოცდა ჩააბარეს სკოლაში არსებულმა მასწავლებლებმა და შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, სპორტის მასწავლებელთა სერთიფიკატები წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა სკოლას ცენტრში. სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნული მტკიცებულებები არ ჰქონდა წარმოდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 :24
დასრულების დრო: 15:28

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (სპორტის, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის დასაქმება, სკოლის სამივე შენობის სრულად ადაპტირება) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ოქტომბერში წარმოდგენა.

5. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბნავისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის ნოემბრამდე წარმოედგინა დასაქმებულის პირად საქმეებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები („სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის“ შესახებ), შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე, ბიბლიოთეკის გამართულად მუშაობის (სამკითხველო დარბაზის ფუნქციონირების უზრუნველყოფის, წიგნების გაცემა-მიღების დოკუმენტის წარმოების, კატალოგის შედგენის) და სკოლის ვებ-გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ 2026 წლის ოქტომბერში წარმოადგინა ცნობები, მიწერილობა შესაბამისი ინვოისებით სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით, მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან, ბიბლიოთეკის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და სკოლის ვებ-გვერდის ლინკი.
დაწესებულებას არ წარმოუდგენია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ეკა ჩხიკვაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა 2020 წლის შემდგომ დასაქმებულ თანამშრომელთა სავალდებულო ცნობები, ასევე, შეისყიდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინვენტარი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ ჰქონდათ შეთანხმებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 :34
დასრულების დრო: 15:36

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ოქტომბერში წარმოდგენა.

6. სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის მიერ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის დეკემბრამდე წარმოედგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით შემუშავების, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესრულების რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების და შესაბამისი რესურსების განსაზღვრის, იდენტიფიცირებული პირების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, ასევე, ბიბლიოთეკარის პოზიციაზე შესაბამისი კადრის ვაკანსიის გამოცხადებისა და შერჩევის, წიგნადი ფონდის აღრიცხვიანობის მოწესრიგების, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის და საქმისწარმოების წესის შემუშავების, ვებ - გვერდზე სკოლის სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ 2026 წლის ოქტომბერში წარმოადგინა პერსონალის ცნობები, 2023 - 2024 წლის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, "ბიბლიოთეკის ლაბორანტის დანიშვნის ბრძანება", ბიბლიოთეკის ლინკი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საქმისწარმოების დებულება, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:41
დასრულების დრო: 15:43

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

7. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2024 წლის ნოემბრამდე წარმოედგინა ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის დასაქმებისა და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ 2026 წლის ოქტომბერში წარმოადგინა ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება და გასაუბრების ოქმები.
დაწესებულებას არ წარმოუდგენია ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, იზა ღიბრაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა ექიმის დასაქმებისთვის მუდმივად აცხადებდა ვაკანსიებს, თუმცა ვერ შეირჩა კვალიფიციური კადრი და დაასაქმეს ექთანი. ინკლუზიურ გარემოსთან მიმართებით აღნიშნა, რომ საკუთარი რესურსით ვერ შეძლო სკოლამ უზრუნველყოფა, თუმცა ბიბლიოთეკა და ლაბორატორია განათავსეს პირველ სართულზე.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, შეთანხმებული ჰქონდა თუ არა ექთნის შტატი სკოლას სამინისტროსთან. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლას ექთნის შტატი შეთანხმებული ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 :48
დასრულების დრო: 15:51

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ინკლუზიური გარემოს მოწყობა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ოქტომბერში წარმოდგენა.

8. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 06 ივნისის N657478 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში წარმოედგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების სკოლის შემდგომი განვითარებისთვის გამოყენების, ასევე, მოსწავლის ჩარიცხვაზე უარის თქმის დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების ფაქტების, სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისა და ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
სკოლამ 2026 წლის სექტემბერში წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების სკოლის შემდგომი განვითარებისთვის გამოყენების, ასევე მოსწავლის ჩარიცხვაზე უარის თქმის დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების ფაქტების, სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისა და ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის დამადასტურებელ მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, დალი ჯანიაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას სრულად შესრულებული ჰქონდა ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან მიღებული ყველა რეკომენდაცია და მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 :58
დასრულების დრო: 16:01

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

9. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის დეკემბრამდე წარმოედგინა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესაბამისი რესურსების კომპონენტში ნაცვლად „არსებული რესურსების“ მითითებისას ფინანსური, მატერიალური თუ ადამიანური რესურსების დაკონკრეტების, დასაქმებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების, მასწავლებელთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისას შემადგენლობის განსაზღვრის დროს 174/ნ ბრძანებით განსაზღვრულ კომისიის შექმნის წესის გათვალისწინების, სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე, შედგენილი მიწერილობით განსაზღვრული სავალდებულო ღონისძიებების განხორციელებისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შიდა და გარე პერიმეტრზე დამატებითი კამერების მონტაჟისა და ვებ-გვერდზე ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ 2026 წლის ოქტომბერში წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მასწავლებელთა ცნობები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, გასაუბრების ოქმი, ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მიღება-ჩაბარების აქტი, ასევე, სახანძრო შემოწმების უარყოფითი აქტი და ვებ-გვერდზე ინფორმაციის ასახვის დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაწესებულებას არ წარმოუდგენია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, კარლო სუბელიანმა, აღნიშნა, რომ სკოლას შესრულებული ჰქონდა საბჭოს მხრიდან მიღებული ყველა რეკომენდაცია, მათ შორის თითქმის სრულყოფილად ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, მხოლოდ ჰიდრანტის ნაწილი რჩებოდა შესასრულებელი, რომლის უზრუნველყოფისთვის სკოლას ფინანსური რესურსი არ გააჩნდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 :58
დასრულების დრო: 16:01

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების

მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ოქტომბერში წარმოდგენა.

10. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 24 ივლისის N972520 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში წარმოედგინა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლისა და სსსმ მოსწავლის საჭიროებების დადგენის მტკიცებულებები, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შედეგად იმ დოკუმენტის შექმნის, რომლის საფუძველზეც გამოჩნდება, როგორ ხორციელდება სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი. სკოლამ 2026 წლის ოქტომბერში წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ბრძანება N16 „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“, 2026 წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, შიდა მონიტორინგის დასკვნა, ისგ-ის მონიტორინგის პერიოდული სამუშაო მატრიცა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა (მოსწავლის შეფასება), სპეციალური მასწავლებლის დანიშვნის ბრძანება, სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ ბრძანება, შიდა მონიტორინგის დებულება, შიდა მონიტორინგის სხდომის ოქმი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნელი ნათენაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა ის რეკომენდაცია, რომელთა შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვადაც ამ დროისთვის დამდგარი იყო. ამასთანავე, განმარტა, რომ 2027 წლისთვის სკოლას განსაზღვრული ჰქონდა სხვა რეკომენდაციების შესრულებაც, რომელთა განხორციელებაზეც უკვე აქტიურად მუშაობდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:06
დასრულების დრო: 16:09

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

11. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 28 ნოემბრის N1691868 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის იანვარში წარმოედგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების გამოყენების, საქმისწარმოების დადგენილი წესით განხორციელების და სკოლის

კვების ბლოკის HACCP სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანისდამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ 2026 წლის სექტემბერში წარმოადგინა საქმისწარმოების ბრძანება, უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ჩატარებულიგამოკითხვის ანალიზი, შპს ჰელფერის მიერ დოკუმენტური შემოწმების აქტი, ჰასპის ხელშეკრულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა, თინათინ ჩხენკელმა, აღნიშნა, რომ სკოლას სრულად ჰქონდა შესრულებული ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან მიღებული რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:06
დასრულების დრო: 16:09

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

12. ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 31 ივლისის N999908 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში წარმოედგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში მისიასთან თავსებადი მიზნების და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების განსაზღვრის შესახებ მტკიცებულება. სკოლამ 2026 წლის სექტემბერში წარმოადგინა სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა, დავით ტვილდიანმა, აღნიშნა, რომ სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:06
დასრულების დრო: 16:09

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

13. სსიპ – აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 22 ივნისის N777289

ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში წარმოედგინა თანამშრომლის უფლების ჩამორთმევის ცნობის, სკოლის ექიმის, 1 ტექნიკური პერსონალის და 1 სსსმ მოსწავლის ასისტენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“ და “უფლების ჩამორთმევის" ცნობების, ექიმის, რუსული ენისა და სპეციალური მასწავლებლის კვალიფიციური კადრის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ 2026 წლის სექტემბერში წარმოადგინა ცნობები, ექიმის კონკურსის (ჩაშლილი) მასალები, სპეცმასწავლებლის არჩევის ოქმი, რუსული ენის მასწავლებლის არჩევის ოქმი, მედიკამენტების შესყიდვის დოკუმენტაცია, სამედიცინო ოთახის კარის მოწყობის ხელშეკრულება, ლიფტის მოწყობაზე უარის წერილი.
აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მედიკამენტების შესყიდვის დოკუმენტაცია, სამედიცინო ოთახის კარის მოწყობის ხელშეკრულება, სკოლას განსაზღვრული ჰქონდა 2027 წლისთვის, ხოლო ადაპტირებული გარემოს, მოწყობა 2028 წლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნუნუ მანაგაძე-ანდრიაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა ექიმის დასაქმებისა. მისი განმარტებით, სკოლა მუდმივად აცხადებდა კონკურსს, თუმცა შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრის მოძიება და დასაქმება ვერ მოხერხდა. აქვე, დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ოთახის კარის მოწყობა განსაზღვრული ჰქონდა 2027 წლისთვის, სკოლამ ვადის დადგომამდე შეძლო რეკომენდაციის შესრულება. სკოლის დირექტორის თქმით, 2028 წლიდან იგეგმებოდა სარემონტო სამუშაოების განხორციელება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:14
დასრულების დრო: 16:17
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ექიმის დასაქმება) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ოქტომბერში წარმოდგენა.

14. სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 25 აგვისტოს N1018295 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის სექტემბერში შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისობაში მოყვანის, დამტკიცებული რეფერირების წესის, ხოლო 2026 წლის აგვისტოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ 2025 წლის და 2026 წლის სექტემბრის თვეში წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული რეფერირების წესი და სტრატეგიული

დაგეგმვის ჯგუფის ბრძანება, საგანებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, მიწერილობები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, მიწერილობები საჯარო რეესტრის ამონაწერისა და ლაბორატორიის აღჭურვის შესახებ..
სკოლას არ წარმოუდგენია საჯარო რეესტრის ამონაწერი, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვის მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ზვიად კუბლაშვილმა, განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სათანადო აღჭურვის მიზნით სკოლას განცხადებით მიმართული ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის, თუმცა, მოსწავლეთა მცირე კონტინგენტიდან გამომდინარე, სკოლას აღნიშნულ საკითხზე უარი ეთქვა.
რაც შეეხებოდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას, დირექტორის განმარტებით, სკოლას აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად გადადგმული ჰქონდა ყველა შესაძლო ქმედითი ნაბიჯი. დაწესებულებაში იმყოფებოდნენ შესაბამისი სამსახურის ექსპერტები, რომლებმაც გასცეს გარკვეული რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება კი სკოლისთვის დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან და დამატებით ძალისხმევასთან. საჯარო რეესტრის ამონაწერთან დაკავშირებით დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში სკოლის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული შენობა დაინგრა, რის შედეგადაც წარმოიშვა საჯარო რეესტრის ამონაწერთან დაკავშირებული პრობლემა. მისი განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე სკოლა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მხრიდან ელოდებოდა შემდგომ რეაგირებასა და პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:22
დასრულების დრო: 16:24

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (საჯარო რეესტრის ამონაწერი, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ოქტომბერში წარმოდგენა.

15. სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 02 ივნისის N657478 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის

შესახებ ცნობების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრის დასაქმების, სკოლის ექიმის დასაქმების, ექიმის მიერ სპეციალური ჟურნალების წარმოების, ხელოვნური ბარიერის განთავსების (შირმა), სამედიცინო კაბინეტის პირველადი საჭიროების მედიკამენტებით მომარაგების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
სკოლამ 2026 წლის ოქტომბერში წარმოადგინა ცნობები, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელსა და ექიმზე გამოცხადებული ვაკანსიების ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე ექიმის ჟურნალის წარმოების, შირმის და მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, გელა ქავთარაძემ, აღნიშნა, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდა ჩააბარა სკოლის მოწვეულმა მასწავლებელმა, ასევე, სკოლის ექიმმა გაიარა გარკვეული ტრენინგები და გადამზადების კურსები და კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა ჩანიშნული ჰქონდა დეკემბერში. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლას შესრულებული ჰქონდა სხვა, ყველა რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:32

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (ექიმისა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრის დასაქმება) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის სექტემბერში წარმოდგენა.

16. სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის დეკემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული გეგმის, შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნისა და საქმისწარმოების განახლებული წესის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული და დამტკიცებული გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის ა ქ ტ ი № 346, აღრიცხვის ჯურნალები, საევაკუაციო გეგმები, შესყიდვის ხელშეკრულებები, საქმისწარმოების ერთიანი წესი, ბრძანება საქმისწარმოების წესის კორექტირების შესახებ.
სკოლას არ წარმოუდგენია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, თამარ ცქიფურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას შესრულებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია, გარდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:37
დასრულების დრო: 16:40

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ოქტომბერში წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:45 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე